ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2684745

ნომერი: AR1413936

თარიღი : 18.06.2016

გაცემის თარიღი : 30.06.2016

გაცნობის თარიღი : 30.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიული ხაზალია პ/ნ 62006003487
- ვაჟა-ფშაველას III კვარტალი კორპ. 13 ბ.25

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 584617
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 18.03.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გოგოხია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ბიჯი"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404859818

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: იბა "წყნეთის გზატკეცილი 23"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205303189
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიული ხაზალია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62006003487

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1077.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 624.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7296.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3839.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 83.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 303.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1162.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 565.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1342.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 21444.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 17259.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4185.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 43.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 578,4 კ1 / 0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5102.1 კ2 / 4.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 81.8 K3 / 0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1623352
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.12.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1623352
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.12.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1413936 განცხადება დამასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1.წარმოსადგენია მინდობილობა, რომლითაც დასტურდება, რომ ვაჟა ცოფურაშვილი არის ანგელინა ცოფურაშვილის წარმომადგენელი.

2.წარმოსადგენია განახლებული მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), შესრულებული სამუშაოების ნუსხას, ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
3.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: დათვლისას გაითვალისწინეთ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი არის მიწის ნაკვეთის შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ორთოგონალური პროექციის ფართობი, გადაამოწმეთ და შეასწორეთ.

4.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დათვლისას გაითვალისწინეთ, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტით განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული, ან გადაფარული რაიმე სამშენებლო თუ სხვა მასალით, რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ნაგებობა, ან სათავსი, ამასთან მოასფალტებულ გზის საფარსაც ვერ იანგარიშებთ კ–3 კოეფიციენტში.

5.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გასათვალისწინებელია ავტოსადგომის მოწყობა ბინების რაოდენობის შესაბამისად. დაიტანეთ პარკინგისთვის გამოყოფილი ადგილების და საავტომობილო გასასვლელების გაბარიტული ზომები. გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ სადგომზე შესვლა და გამოსვლა უნდა ხდებოდეს შეუფერხებლად. "11-1" ღერძებში განთავსებული აივნებით და +30.30 ნიშნულის სართულზე "დ-ბ" ღერძებში განთავსებული აივანით ირღვევა სამეზობლო მიჯნა. ასევე "7-6" ღერძებში მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდეა შესაძლებელი ღიობების მოწყობა - თუ შენობის საანგარიშო სიმაღლე არ აღემატება 7,5 მეტრს, მაშინ შენობის სამეზობლო საზღვრიდან 3,0 მეტრით დაშორების შემთხვევაში შენობის საანგარიშო ზედაპირზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და სხვა ღია ნაწილები. 3.0-დან 7,5 მეტრით დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე. დანარჩენ შემთხვევაში შესაძლებელია ღიობები გამოიჭრას 7,5 მეტრის შემდეგ. გასათვალისწინებელია ასევე შშმპ პანდუსის მოწყობა ნორმების შესაბამისად (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება). პანდუსზე დაიტანეთ საწყისი და ბოლო ნიშნულები, ასევე გაბარიტული ზომები და დახრის პროცენტი. გაითვალისწინეთ, რომ საერთო სარგებლობის ფართები არ წარმოადგენს საზაფხულო ფართს (-I სართული). გეგმაზე დაიტანეთ ასევე გამწვანება.

6.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ მიწისპირა სართულის განშლა შესაბამისი დასაბუთებით.

7.შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : აღნიშნულ ველში წარმოადგინეთ შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი და რენდერები.

8.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოსადგენია ასევე კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კონტური (კროკი). განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად.

9.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: გრაფიკი წარმოადგინეთ გონივრული ვადით განსაზღვრული.

10.არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათის pdf ფაილი.: წარმოსადგენია შეთანხმებულ პროექტში არსებული, წინა ჯერზე მომატებული კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი და გადახდის ქვითარი. წარმოადგინეთ ბოლოს მომატებული კ2 კოეფიციენტის ანგარიშის განმარტებითი ბარათის დასკანირებული ვარიანტი, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.